



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალურ ნახაბებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 37

ს ე მ ბ მ მ ბ ე რ ი 10 1900

№ 37

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნილით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში „წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „**Квалის**“.

**შინაპარსი:** გენ.-ლეიტ. კონსტანტ. ქრისტ. მამაცაშვილი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„ქვალის“—ს კორესპონდენციები.—მცირე წლოვან დამნაშავეთა კალონია ზემო ავჭალაში.—ნაწყვეტები V (ლექსი)დ. თომაშვილისა.—მსოფლიო გამოფენა პარიჟში ლ. დ.—ქართული ვაღობის ახალი გუნდი სერგისა.—ბ. ს. ქვარიანის მოთხრობა „ანეკლინა“ ლექსიკონითურთ გ. წულუკიძისა.—გაზაფხულში სურათი მალიშვესკისა. თარგ. ა. მათიაშვილისა.—საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებები.

† გენ.-ლეიტ. კონსტ. ქრისტეფ.

მამაცაშვილი


(1814—1900)

ზასულ კვირას, 3 სექტემბერს, თფილისში მცირე ავთომყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გენ.-ლეიტ. კ. ქრ. მამაცაშვილი. განსვენებული დაიბადა 1814 წელს ნოემბრის 25; სწავლობდა ჯერ თფილისის, ეგრეთ წოდებულ კეთილშობილთა სკოლაში, შემდეგ პეტერბურგის კადეტთა კორპუსში. პირველი ჩინით დაჯილდოვებულ იქმნა 1837 წელს, 1869 წელს მიიღო გენერალ-ლეიტენანტობის ხარისხი და 1873 წლიდან რამდენსამე ხანს ასრულებდა საოლქო არტილერის უფროსის თანამდებობას. გარდა ამისა 1877 წელს დროებით მართავდა განჯის გუბერნიას; დაჯილდოვებული იყო მრავალი ორდენებით, სხვათა შორის მეოთხე ხარისხის წმიდა გიორგის ორდენით 1854 წელს რუს-ოსმალის ომის დროს, და

ოქროს ხმლით ზედწარწერით: „მამაცობისთვის“. ერთი სიტყვით კ. ქრ. მამაცაშვილი იყო რუსეთის ჯარების გამოჩენილი გერენალი და ერთი საუკეთესო სარდალთაგანი. მაგრამ იგი არა მარტო ამ მხრით იყო შესანიშნავი.

კონსტანტინე მამაცაშვილი ვერ შთანთქა სამხედრო სარბიელმა, როგორც მრავალი მისი ტოლამხანაგები. სამხედრო მოღვაწეობის გარდა, მას აინტერესებდა მრავალი საზოგადოებრივი საქირობოროტო კითხვები, და რამდენათაც მას დრო და გარემოება ნებას აძლევდენ, მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა იმათ ასე თუ ისე გადაწყვეტაში. როგორც ჩვენ ვიცით, კ. მამაცაშვილი იყო ბატონ-ყმობის ერთი გაბედული მოწინააღმდეგეთაგანი, რომელთა რიცხვი არამც თუ ჩვენში, არამედ მთელ რუსეთშიაც, მეტათ მცირე იყო. და როცა მთავრობა ყმებისა და ბატონების ერთი ერთმანეთისაგან გათიშვის საქმეს შეუდგა, კ. მამაცაშვილმა მოხსენება წარუდგინა როგორც მთავრობას, ისე თავად-აზნაურობასაც, რომელშიაც





ის მრავალ შეღავათს თხოულობდა ბატონ-ყმურ მონობისაგან განთავისუფლებულ გლეხთათვის<sup>1)</sup>. განსვენებული განსაკუთრებით მსურველ მონაწილეობას ღებულობდა სწავლა-განათლების საქმეში. ერთ ღროს იგი იყო თფილისის საბჭოს ხმოსანი, მაგრამ განსაკუთრებით შესანიშნავია მისი მოღვაწეობა თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საქმეში. კ. მამაცაშვილი დიდ ხანს იყო ხსენებული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარეთა და ღღევანდელი თფილისის სათავად-აზნაურო სკოლა დიდათ დავალებულია მისაგან უმეტესათ იმით, რომ ამ სასწავლებელმა გიმნაზიის პროგრამა შეინარჩუნა.

მკითხველს გავახსენებთ აქ ერთ ეპიზოდს ამ ისტორიიდან, რომელიც განსვენებულ კ. მამაცაშვილს შესანიშნავათ ახასიათებს. როგორც ვიცით, თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე, გაზ. „ივერიის“ რედაქტორი, თ. დ. ი. გ. ჭავჭავაძე, თუ ბანკის კრებაზე, თუ გაზეთის საშუალებით ერთ ღროს თავგამოდებით მეცადინეობდა, რომ სათავად-აზნაურო სასწავლებელი აგრონომიულ სკოლათ გადაეკეთებინა. ერთი იმათგანი, ვინც წინააღმდეგ ასეთ მიმართულებას, იყო კ. ქრ. მამაცაშვილიც, რომელმაც, როგორც სამაგალითო მხედარმა, სრულებით არ მოიხარა ქელი თ. ჭავჭავაძის სახელის და გავლენის წინაშე და თავისი გაიტანა. ის მოქმედებდა არა თუ სიტყვით, არამედ მწერლობითაც. სხვათა შორის შესანიშნავია მისი წერილი 1893 წლის „კვლეში“<sup>2)</sup> ამ საგნის შესახებ, რომელშიაც ის საფუძვლიანათ ამტკიცებს, რომ ყოველთვის და ყოველგან სპეციალურ სწავლას წინ მიუძღოდა საზოგადო განათლება. თავის ღედა აზრს ის ასაბუთებს მრავალი მაგალითებით და სხვათა შორის ლოჭინის სკოლის მაგალითით. ეს სკოლა დააარსა მთავრობამ 42 წლის წინეთ; იქ ასწავლიდნენ მიწის მუშაობას, მევენახობას, ხეხილის მოშენებას და საქონლის მოვლას; სასწავლებელი კარგათ იყო მოწყობილი, ჰქონდა მაშინები, გუთნები, თავისი ვენახი, მუშა და მეწველი საქონელი; მასწავლებლებათ საუკეთესო აგრონომები იყვნენ. მაგრამ სკოლამ მაინც ვერ იხერია: იმან გაძლო მხოლოთ 15 წელიწადს და იქიდან არ გამოსულა არც ერთი შეგირდი,

1) ეს მოხსენება, თვით კ. მამაცაშვილის მიერ დაწერილი, ვგონებ წერა-კითხვის საზოგადოებაში უნდა ინახებოდნენ. ჩვენის აზრით საჭიროა მისი დაბეჭვდა რომელსამე ღრო გამოშვებით გამოცემაში.

2) იხ. „კვლე“ 1893 წ. № 9. „წერილი კიდევ სათავად-აზნაურო სკოლის გამო“ კ. მამაცაშვილისა.

რომელსაც მეურნეობის რამე ცოდნოდანაც იმეტომ, რომ შეგირდებს საზოგადო განათლება არ ჰქონდათ მიღებულიო. საყურადღებოა ამ წერილში კიდევ შემდეგი სიტყვები: „ივერიის“ მოციქულებმა და მოძღვრებმა ეს სკოლაც (იგულისხმე სათავად აზნაურო) თითქმის ქლექათ ჩაადგეს იმის მაგივრათ, რომ თავიანთ სწავლა მოძღვრებით ხელი შეეწყოთ მის გავრცელებისა და გაუმჯობესებისათვის. ყოველ წელიწადს იბეჭდება ცრუ-მიმართულების წერილები, სავსე სრულიად უსაფუძვლო საყვედურებით ჩვენი ერთათ ერთ საზოგადო განათლების წყაროსადმიო“.

კითხულობ ამას და გიკვირს, რომ ასე ცუცხლათ და ასეთი ინტერესით საზოგადო საქმისადმი ლაპარაკობს 80 წლის მოხუცი, რომელმაც თავის ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა სამხედრო ასპარეზზე,—ბრძოლის ველზე. ამიტომ სრულებით გასაკვირველი არ არის, თუ ასეთი ადამიანი გულწრფელ პატივისცემას იწვევს საზოგადოებაში და რომ ასეთი პატივისცემა დაიმსახურა კ. ქრ. მამაცაშვილმა, ამაში ჩვენ ღრმა დარწმუნებული ვართ.


სხვა-და-სხვა ამბები

უთუბათს 7 სექტემბერს დიდუბეში დასაფლავეს კოსტ. ქრისტ. მამაცაშვილი. დასაფლავებას ღიდძალი საზოგადოება დაესწრო. კუბო შემკული იყო მრავალი გვირგვინებით, სხვათა შორის იყო: წერაკ. გამ. საზოგადოებისაგან, სათავად-აზნაურო სკოლის კამიტეტისაგან, სათ. აზ. სკოლის მასწავლებლებისაგან, მოსწავლეებისაგან, თფილისის 1 და 2 გემნაზიელებისაგან, თფილისის ქალაქისაგან, გორიდან, ბათუმიდან, საიმპ. სამეურნეო საზ., ღრამატ. საზოგადოებისაგან და სხვა მრავალთაგან. დასასრულ სიტყვები წარმოთქვეს აკაკი წერეთელმა, ქუთ. თავ. აზ. წარმომადგენელმა თ. დ. ნიჟერაძემ და თფ. სათავ. აზ. სკოლ. მასწავლებელმა ი. რატიშვილმა.

ქუთაისში 2 ენკენისთვეს გარდაიცვალა თავ. თენგიზ დაღეშკელიანი, ძმა სვანეთის უკანასკნელი მთავრისა.

თფილისის საადგილ-მამული ბანკის წესდების ცვლილება, რომელიც ტელეგრამამ შეგვატყობინა: ეხება 26 პარაგრაფს, ესე იგი გირავნობის ფურცლების გაბათილების წეს-რიგს. ამ ცვლილებით ბანკს ნება ეძლევა გასაბათილებლათ გირავნობის ფურცლები ბირჯაზე თვით შეიყიდოს.





ქართულ დრამატიულ საზოგადოებას აუჩრე-  
ვია პიესების დამფასებელი კომისია. უკონდი პირ-  
თაგან. ამ კომისიას პირველი კრება პარასკევს, 8  
სექტემბერს ჰქონდა. სექტემბრის შუა რიცხვებში  
იგივე დრამატიული საზოგადოება მართავს გამო-  
საცდელ წარმოდგენას ახალ მოთამაშეთათვის. ამ-  
ბობენ ბევრს ახლებს გამოუცხადებიათ სურვილი  
თეატრში თამაშობისა.

საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტების თა-  
ნაშემწეთა ადგილი 1091 წლის იანვრიდან გაუქ-  
მებული იქნება. ეს ალბათ იმან გამოიწვია, რომ  
თანდათან ხარჯს ემატებოდა, მაგ. ახალი ხარჯთ-  
აღრიცხვა 97000 მანათისა.

თფილისის მესამე სავაჟო გიმნაზიას უთხოვნია  
სათანადო მთავრობისათვის, რომ მიეცეს მას სე-  
სხათ 200 ათასი მანეთი, ვერაზე ადგილის საყი-  
დლათ და საკუთარი შენობის ასაშენებლათ.

15 ოქტომბერს თფილისის საბჭოს დარბაზში  
კენქს უყრიან იმ ახალგაზდათ, რომელნიც სამხე-  
დრო სამსახურში უნდა იქმნენ წელს გაწვეულნი,  
შემდეგ დღეებში გაწვეულთ გაშინჯავენ ექიმები  
და ექვს ნოემბრამდე დაითხოვენ.

ფინანსთა სამინისტრო თანაგრძნობით მიგე-  
ბებია თფილისში განზრახულ სავაქრო სკოლის  
დაარსების საქმეს.

როგორც თფილისის გაზეთებში დაბეჭდილი  
ცნობებიდან ჩანს ქალაქის ლომბარდის 1894  
საანგარიშო წელს წმინდა მოგება დარჩენია 6,474  
მანეთი და 24 კაპ. ეს წმინდა მოგება ლომბარდის  
წესდების 5542 მუხლის ძალით, ქალაქის კასაში  
უნდა იქნას შეტანილი. კარგი იქნებოდა ქალაქის  
საბჭო მიაქცევდეს ყურადღებას იმას, თუ საიდან  
წარმოდგა ეს წმინდა მოგება ქალაქის ლომბარდი-  
სა, ამას წინეთ ჩვენ მოხსენებული გვქონდა, თუ  
როგორ ექცევიან ქალაქის ლომბარდში ნივთების  
დამგირავებელთ, როგორ უჭირვებენ საქმეს იმის  
გამო რომ კასაში ფული არა გვაქვსო. ახლა კი  
გამოდის, რომ ეს მართალი არ ყოფილა, ჩვენ  
გვგონია, და ამაში სხვებიც დაგვეთანხმებიან, რომ  
ქალაქის ლომბარდი გაქირვებულთ ხელის გასამარ-  
თავათ არის დაწესებული და არა იმისთვის, რომ  
იმან ქალაქის კასა გაამდიდროს. სასურველია, რომ  
ამას ყურადღება ექმნას მიქცეული ვისგანაც ჯერ  
არს.

შარშან ლანჩხუთისა და ნიგოითის მცხოვრე-  
ბლებმა თხოვეს კავკასიის სამედიცინო საზოგადოე-  
ბას დაგვეხმარეთ მდ. რონის ნაპირების გამაგრების  
საქმეშიო. კავკასიის სამედიცინო საზოგადოებას ეს  
თხოვნა გაუგზავნია კავკასიის წყლების ინსპექტო-  
რისათვის მისი აზრის გამოსათქმელათ. ახლა ხსე-  
ნებული ინსპექტორი წერს საზოგადოებას, რომ  
ნიგოითში და ლანჩხუთში მდინარის ნაპირების  
გამაგრება სულ დაჯდება 70 ათასი მანეთი; ეს  
ფული შეიძლება ასესხოს ხაზინამ სოფლის საზო-  
გადოებათ სამელიორაციო კრედიტიდან, რის შე-  
სახებ საწყლო გამგეობას შეუძლია შეამდგომლო-  
ბა აღძრასო.

დიდრონ მალაზიების ვაქართ განუზრახავთ  
დაეხმარონ ღარიბ ვაქრების შეიღებს, რომლებიც  
მიღებული არიან თფილისის კომერციულ სასწავ-  
ლებელში და ღონის ძიება კი არა აქვთ სწავლის  
ფულის შეტანისა.

ზუგდიდში, როგორც „ივერიას“ წერენ, ძა-  
ლიან გავრცელებულია წითელა, ციება და მუც-  
ლის ავთამყოფობა, რომლებმაც ბევრი ადამიანი  
იმსხვევრბლა თურმე, განსაკუთრებით ბავშვები და  
ერთათ ერთი სამაზრო ექიმი ნახევარ ავთამყოფო-  
ბის გაშინჯვასაც ვერ ასწრებს.

ექიმ, ი. ზ. ლორის-მელიქოვს პარიჟის ექი-  
მების კონგრესზე წაუკითხავს მოხსენება შავი ქი-  
რის წინააღმდეგ საბრძოლველათ მისაღებ ზომებ-  
ზე ეს მოხსენება დაბეჭდილია ჟურნალ „le bulle-  
tin médical“-ში, 29 აგვისტოს.

სათანადო მთავრობას აუკრძალავს რუსეთის  
შიდა გუბერნიებიდან შავი ზღვის ნაპირზე გადმო-  
სახლება, რადგანაც იქ ამ ჟამათ თავისუფალი ად-  
ვილი ერთობ მცირეა. რაც ახლა თავისუფალი  
ადგილია იქ დაურიგდებათ იმ რუს გლეხებს, რო-  
მლებიც უკვე გადმოსახლებულან კავკასიაში.

სიღნაღის მაზრაში ამ წელს ძალიან კარგი  
მოსავალი ყოფილა ხილეულობისა და პურისა.  
ფული სიმინდი იქ იყიდება ამ ჟამათ 30 კაპ. ყურ-  
ძნის მოსავალს კარგს არ მოელოან, რადგან ვაზს  
სოკო ვაჩენია.

სამაზრო გადასახადთა განაწილების სამმართვე-  
ლოში არჩეულ იქნენ თფილისის გუბერნიის  
თავად-აზნაურთა წარმომადგენლებათ თფილისის  
მაზრაში—თ. ი. გ. ბარათაშვილი, გორისაში—თ.



ნ. ა. თუმანიშვილი, თელავისაში — დ. აბელიშვილი, სიღნაღისაში — თ. ნ. ა. ვაჩნაძე, დუშეთისაში — ნ. ს. რატიშვილი, ბორჩალოსაში — აზ. საღინბეგ-ედიგაროვი, თიანეთისაში — თ. მ. დ. ჯანდიერი, ახალციხისაში — აზ. ი. ი. ორბელიანი და მუსტაფა-ბეგ ფალავანდიშვილი.

„კეკელი“ კორესპონდენტები

**ს** ანხსუთი. არა სისამოვნო დრო დაუდგათ წელს ჯანხსუთლებს. იმათი მოლოდინი, იმათი იმედები სულ გააცრეფა კვირკობ-მარიაობისთვის განუწყვეტელმა წვიმებმა. ეანები მეტათ დააზიანა, (შედარებით წარსულ წელთან ძლიერ ნაკლები იქნება წელს მოსავალი). უმეტესობას სარჩო თუ მოყვიდა დიდი დვთის წყალობა იქნება. ივნისის დამლევამდის ისეთი ზირი უჩანდა აჭარა უანებს რომ „ავი თვალით არ ინახვისო“ რომ იტყვიან სწორეთ ის იყო. მაგრამ არ შეიძლება ბუნების შეუბრალებელმა სტიქიონმა ამოდენა ადამიანის ნაოფლარი და, მიწასთან გაასწორა მთელი ნაშრომ ნაღვაწი. ვენახის მოსავალიც ძლიან ნაკლებია თუმცა წინეთ ზვეწში არ მოწონდათ ადვისი ღვინო, მაგრამ როდესაც იმის მეტი ვენახი საზოგადოთ მოისპო აქ, რდესს უკმევედენ ბოლო დროს გუნდრუკს, ხოლო ახლა ეს უკანასკნელიც დაადგა გადაშენების გზას და უწინდებურათ უხვათ ადარ მდის. რა თქმა უნდა მის მიზეზი აჭარების შეურთობის უცოდინარობაა, რომელიც მეტათ აფერხებს ცხოვრების წინმსვლელობას და ადარიბებს აჭარა მცხოვრებთ. აქ ადამიანის ხელისაგან გაკეთებულ-გაშენებულს ვერას ნახავთ თუმცა მეტათ ტურფა და ჯამაზია ზვეწი მხარე, მაგრამ ამას ბუნებას უნდა ვუმაღლიდეთ, რადგან არ დაუზოგავს თავისი უხვი ჯიფლო და შრავალი სიკეთით შეუმკია აჭარობა. ბუნებასთან ერთათ თუ ადამიანმაც არ გაიდვიდა და ხელი არ გაანძრია, რა გამოვა! სიღარიბე — სიღატაკიდან შიანც ვერ დააღწევს თავს.

წინეთ აქ სხვანაირი იყო ცხოვრება, ოჯახის მოთხოვნილებას ოჯახივე აკმაყოფილებდა, მაგრამ სულ სხვაა დღეს: მოთხოვნილება გაფართოვდა, ცხოვრება გაჭირდა და რა თქმა უნდა, რომ ცხოვრებული ბაბუის ნაანდერძივი თონით შეუძლებელია არსებობა, ახალ გზას უნდა გამოძებნას ახალი ცხოვრებისთვის, და ეს გზა: სწავლა განათლება, მეურნეობის შესწავლა, მიწის მოვლა და სხ. სანამ ჯანხსუთლები ამ იარაღს არ შეიძენენ მამა-პაპური ბარით და ნიჩბით იმათი ნივთიერი დაწინაურება შეუძლებელია. გარეგანი ფორმით გაფრთხილებულ ჯანხსუთლებს ყოველი მოთხოვნილება-გადასახადი მოშეტებული აჭეთ შედარებით სხვა სოფლებზე, ხოლო შემოსავალი კი ვერ აკმაყოფილებს იმათ ხარჯებს. ერ-

თათ ერთი ცხოვრების სადსარი აჭარებისთვის სიმდიდრე ამ ბოლო დროს მეორე უკეთესი წყარო მოემართა ჯანხსუთლებს, ეს არის აბრეშუმის ჭია, რომელიც თავად სანინოთ გავრცელდა, კარგ მოსავალსაც იძლევა და რომლითაც სულს იბრუნებენ აჭარა გლეხები.

წელს გავრცელდა აქ გადაშენები სენი, რომელსაც მუტელ-ბატონებს ეძახიან აჭარები. ეს ავთომოფობია ისე გაძლიერდა ცოტა ხნის განმავლობაში, რომ სოფლებებს დიდი გაჭირვება დაადგათ. ექიმში სწორეთ იმ დროს მიჭყავდათ ავთომოფობიან როცა ხუცესი იყო საჭირო, რის გამოც ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. დღემდის აქ ექიმში არ იმყოფებოდა. თუმცა ბევრჯერ მოახდინა პრინციპმა ყრილობა და გამოუცხადა სოფელს მისი საჭიროება, მაგრამ, ეს საქმე როგორც ყველგან, აქაც არ განხორციელდა ერთი მეორის უთანხმოებით ამოდენა სოფელი უექიმოთ იყო დარჩენილი, თითო-ოროლა ფერშლების ამარა მიტოვებული, მაგრამ ახლავი ბედმა გაუღიმა ჯანხსუთლებს და თავისი სურვილით ჩამოვიდა ერთი ექიმი. სასურველურთ, როგორც მითხრეს თუმცა კარგი გამოცდილი ყოფილა, მაგრამ ავთომოფობიან მისი მოყვანა კი გასაჭირია თურმე, რადგანაც ფეხები ტკივებია და თუ არ ხარ-ურმით, ისე ვერსად მიდის ავთომოფობის სახანავათო.


აჭარა სასოფლო ბანკის საქმე, რომელიც ეს რამოდენიმე თვეა არსებობს, საკმაოთ კარგათ მიდის, შედარებით სხვა სოფლებთან, როგორც გადმომცეს ბბ. გამკვებმა. წიგნთ საცავ-სამკითხველთც სასურველ ნიდავზე დგას ბბ. გამკვების ენერგიული შრომით და მეცადინეობით. მაგრამ გამკვები ახლა თავს ანებებენ თურმე და თუ ეს მართალია, საჭიროა ამ ავთომოფობიან არჩეული გამკვთ ისეთი სანდო და პატიოსანი მუშაკი როგორც არიან ბბ. მ. მხეიძე, გ. ურატაძე, და კ. იმნაძე, რომელნიც დიდი მადლობის ღირსი არიან თავისი კეთილ სინიღისიერ მოქმედებისათვის საზოგადო საქმეში.

29 მარიაობისთვის აქ დღეობა იციან, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრება გურიის სხვა და სხვა კუთხეებიდან, და ხშირათ სისხლის ღვრითაც ბოლოვდება ხოლმე სეირნობა თამაში. წელს კი ასეთი არა მომხდარა რა. დღეობა მშვიდობიანი იყო.

ვ. თებროშვილი.

**სადგური ევლახი.** (კანჯის მზრა) აქ პირველათვე ადამიანის ყურადღებას იზიარებს როგორც ხალხის მოძრაობა, ისე დატვირთული სხვა და სხვა ნაწარმებით ურემბ-ფურცლები. ვისაც ამ მოძრაობისათვის ყურადღება მიუქცევია, ძალაუნებურათ განცვიფრებული დაკვირვება თავის თავს: რა ადგილები აკრავს ამ სადგურს ისეთი, რომ ამოდენა მოძრაობაა? სადგურ ევლახს აკრავს შუშის და ნუხის კარდა კიდევ რამდენიმე მზრა, რო-





მელთა შვედრნი მისდევნ სხვა და სხვა გვარ წარმო-  
ბას, რის გამოც უოველ დღე ამ სადგურნიდან იგზავნება  
სახლგარ გარეთ და რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში  
რამდენიმე დატვირთული ვაგონები აბრეშუმის  
ძაფით, ყაჭით, ხაღინებით, სზილენძით, ბრინჯით, ბამ-  
ბით, თხილით, კაკლით, ხორბლეულდობით და სს...  
განცვიფრებაში მოდის ადამიანი, ამოდენა ხაღინებს ვინა  
ქსოვს და ვინ აკეთებს ამოდენა აბრეშუმსო. ეს დარგი  
წარმოებისა ეკუთვნით იმ ჩადრ წამოსხმულ თათ-  
რების ქალთა, რომელნიც ქართულ ქალებისაგან  
არა სხედან ტახტებზე გულ-სულ დაკრეფილნი. დიდძალი  
თხილი მოდის შაქათალის მხრიდან, საიდანაც ჩამოაქვთ  
გათათრებულ ქართველებს, რომელთაც სახის გამოძე-  
ვლებს — მინჯრა-მინჯრა სულ ქართველური შერჩენით  
და ეხაც ძველებურ ქართულ-მეგრულს წააგავს. ამ ქართ-  
ველთა ტომის შესახებ ვეცდები შემდეგისთვის დაწერი-  
ლებითი ცნობები ვაცნობა შეითხველთ.

აქეთ მხარეს სუფევს ისეთი ადგილებიც სადაც  
რისამე წარმოება არ შეიძლება, ამის გამო გაზაფხულდუ-  
ბა თუ არა, დაიძვრის დიდძალი მუშა ხალხი-სომ-  
ხობა და მიეშურება ბაქას მხრისაკენ სამუშაოთ, რათა  
სახამთროთ შეიძინონ რამე, და ისე დაბრუნდენ თავ თა-  
ვის სახლებში

სადგურთან ახლოს მცხოვრებთა შეადგენენ რკი-  
ნის გზის მთავარსახურე პირები და კერძო მოვაჭ-  
რეები. ამ სადგურზე არსებობს „დეზო“, სადაც ბლამათ  
მუშაობს მუშა ხელი; აქვე იცვლება კონდუქტორების  
„ბრიგადა“, რის გამოც მთელი დღეობით თავისუფალ-  
ნი არიან და არ იციან რაგორ და სად გაატარონ თა-  
ვისუფალი დრო. ამ უსაქმურობის დროს არ შეიძლება რომ  
ისინი საქმიანობა დუქნებ-არდნებში არ მიიზიდოს და არ გააფ-  
ლანგვინონ წვითა და დაგვიტ ნაშრონი იფული, ამის გამო,  
კარგი იქნებოდა, რომ ვინმე, რკინის გზის მოსამსახურე-  
თაგანი ითავებდეს და დაუარსებდეს, თუ წიგნთ-საცავს  
არა, სამკითხველს მანც, რისთვისაც რკინის გზის  
მმართველობას ერთი ოთახისა და ნება რთვის მეტი არა  
დაჭირდება—, რადგანაც აქ იმყოფიან ისეთი პირნი, რომ-  
ელნიც არ დაიშურებენ თითო ყურნალ-გაზეთის გამო-  
წერას ამ ფრიად სასიკეთო—სასარგებლო საქმისათვის  
რაც დამტკიცდა პატარა კერძო კრებაზე, სადაც  
ადმოხნდენ თორმეტ ხაირი ყურნალ-გაზეთობის შემომ-  
წირველთა მსურველნი; მაგრამ ამ კერძო კრებაზედვე  
დამტკიცდა, რომ თუ რკინის გზის მმართველობა არ  
მიიღებს ამ საქმეში მონაწილეობას, უიმისოთ შეუძლებე-  
ლი ხდება სამკითხველს დაარსება, რის გამოც ეთხოვა  
სახოცადგობის პირით ბ-ნ „დეზოს“ უფროსს იკისროს რკი-  
ნის გზის მმართველობის წინაშე შუამდგომლობა სამკითხვე-  
ლს დაარსებაზე. იმედია ბ-ნი შიდა ამ საქმეს გულთ მოე-  
პურება და მალე განახორციელებს სახოცადგობის სურ-  
ვილს.

სახოცადგომ თათრების უსუფთაობას აქაც შეხვნი-  
თავი. რადგანაც ზოლიციის მხრით არაფერი ურადდება  
არა აქვს მიქცეული აქაურ ანტიანტიარულ მდგომარეო-  
ბას, დუქნებ-მალაზიების წინ ისეთი უსუფთაობა სუ-  
ფევს, რომ ადამიანს სახანოც ალაგი ეგონება და არა  
ქუჩა, რის გამოც წვიმა - თოვლს დროს ისე  
აილაფ-აურთლებს ხელმე, რომ ადამიანის გავლა შეუძ-  
ლებელი ხდება.

აქ არ არსებობს არავითარი ნინრი, რის  
გამოც ვეელა მოვაჭრე თავის ნებაზე ჭყიდის სასოფლებს,  
მაგალითთ აქ ცხვრის ხორცი დროს 15 კ. ძროხისა  
10 კ. ზური 4 კ. მეორე ხარისხისა. კარგი იქნება რომ  
ზოლიცია მიქცევედეს ურადლებას და დაარსებდეს  
საყოველთაო ნინრს.

ი... ფა—ლი.

სოფ. რუისი. (გორის მაზრა) ჩვენი ქვეყნის უვე-  
ლს კუთხეებში ჩნდება სხვა და სხვა მადნეულობა-სიმდიდ-  
რე: რომელთა რიცხვში შეიძლება ჩაირიცხოს  
სოფელი რუისიც, სადაც შიგ შუა სოფელში უზგონათ  
ნავთის გვარი სითხე. დანამდვილებით ვერ არავინ არა-  
ფერი იცის ამ საქმის შესახებ, მაგრამ მცხოვრებლებს  
კი სალანარკოთ ეს საქმე გაუხდიათ და საიმედო ცნე-  
ბებს მისცემიან, რაც მტკიცდება შემდეგი შემთხვევით:  
სოფელზე გავლა მოუხდათ რამდენსამე პირს ევროპიუ-  
ლათ ჩანმულთ, რომელთაც შეხედენ გლეხ-კაცები და  
შეესმარუნენ: „თქვენი ჭირიმეთ, იქნება მართლაც რაგორ-  
მე ნავთი აღმოაჩინოთ და გვიხსნათ იმ გაჭირვებისაგან,  
რაც ჩვენი უკუღმართი ცხოვრებისაგან გვაღვია“. შემდეგ  
მიუბრუნდა თავის ამხანაგს და ეუბნება: „ეე, ვანო, მარ-  
თლაც რომ ნავთი გამოჩნდეს, მაშინ ე ჩვენი მიწაში ჩაფ-  
ლული სახლები სულ ქვითკირის ყავრით დახურულ სახ-  
ლებათ შეიცვლება, ისე გავმდიდრდებით ყველანი. ი ჩემ  
გოგო-ბიჭებს, მაშინ ჩვენ სკოლაში კი ადარ მივცემ,  
სადაც იხის ვერა სწავლობენ, სულ დომნაზიაში გავგზავ-  
ნიო“

რუისის სახოცადგობას აუშენებია რამდენიმე თვლია-  
ნი შვენიერი ქვითკირის შენობა, სადაც უნდა მოათავ-  
სონ სასწავლებელი, რადგანაც ძველი სასკოლო შენობა  
ადარ ჭკოფინდათ მოსწავლეთა რიცხვს. რაკი ერთი მას-  
წავლებელი ვერ აუდიოდა სწავლას, ახლა მეორე მასწავ-  
ლებათ მიუწვევიათ ქ-ნი დეკანოზიშვილისა, რომ-  
ელსაც შვენიერათ მოუმზადებია ქართულ საგანმანათლებ-  
ლო და მტკიცდა საადგომოთ დიტანიაზე გალობის  
დროს. დიდი ხანია რუისელებს ადარ სმენიათ ვრმათა გა-  
ლობა, და ახლა მშრომელი მასწავლებელი ქალის მეხე-  
ბით ედიწათ პატარა მოსწავლეების გალობაც, რასაც  
დიდ აღტაცებაში მოჭყავდა მლოცველნი.

რუსელი იანონა



### მცირე წლოვან და მხაშვეთა გამასწორებელი კალონია ზემო ავჭალაში.

რედაქციამ მიიღო მცირე წლოვან და მხაშვეთა გამასწორებელ საზოგადოების გამგეობისაგან გამოცემული წარსული 1899 წ. ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდან ჩანს საანგარიშო წელს მოწაფეთა რიცხვი საშუალოთ უდრიდა 48; ამითში მართმადიდებელი—36, სომეხ-გრიგორიანი—7, ებრაელი—2, მაჰმადიანი—2, წლოვანებით დაიყოფებოდნენ ამ გვარათ: 17—18-ს წლისა—10, 16—17-ს — 12, 14—15-ს — 6, 13—14-ს — 3, 12—13-ს — 2, 11—12-ს — 2, 10—11-ს — 1. 45 ამათგანს კალონიაში ყოფნა მიუსაჯეს ქურდობისა, 1 ურიგო ყოფა-ქცევისა და 1 მკვლელობისათვის.


ანგარიშში მოყვანილია თუ რა დანაშაული ჩაუდენიათ ბავშვებს კალონიაში ყოფნის დროს. სხვათა შორის ვკითხულობთ: ქურდობა, თუთუნის წევა, ჩხუბი და ლანძღვა გინება, შეძენა და მალვა აღკრძალულ ნივთებისა, ზარმაცობა, დაუდევრობა, ზნეობის წინააღმდეგი საქციელი და სხვ... დამნაშავეთა დასასჯელათ ღირეკციას მიუმართავს შემდეგ ზომებისათვის: კარცერში დამწყვედვა, საჭმლის შემცირება, დატოვება უჩაიოთ, თამაშობის აღკრძალვა, მშობლების ნახვის უფლების წართმევა და სხვა... ბავშვები ყოფილა დაყოფილი ხუთ ჯგუფათ. პირველი სამი ჯგუფი გადიოდნენ ერთ კლასიანი სასწავლებლის კურსს, ხოლო ორი უკანასკნელი ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებლისას.

ამას გარდა აქ ასწავლიან სხვა-და-სხვა ხელობას — დურგლობას, მებაღეობას, მეწაღეობას და სხვ. ამ ჟამათ კალონიას 40 დესიატინა მიწა აქვს ზემო ავჭალაში და რამდენიმე შენობა. ახლო მომავალში გამგეობას აზრათ აქვს ააშენოს მანთაშევის შემოწირული ფულით (20,000 მ.) ცალკე შენობა მასწავლებელთათვის, ორი სახელოსნო, საავათმყოფო და სხვ... აგრეთვე აზრათ აქვთ გამოიყვანონ მტკვრიდან ბაღის მოსარწყავათ წყალი. საანგარიშო წელს სკოლას ჰქონია შემოსავალი 29,674 მ. 92 კ.; სხვათა შორის სახელოსნოებიდან შემოსულა 398 მ. 65 კ.; მებაღეობიდან 21 მ. 71.; კერძო პირების შემოწირულება ფულით და ნივთებით — 9677 მ. 53 კ.; საწვერო ფული\*) — 1257 მ. 16 კ. და სხვ... გასავალი ყოფილა 21801 მ. 44 კ როცა ყმაწვილები თავს ანებებენ კალონიას, საზოგადოების გამგეობა და სკოლის ღირეკცია ცდილობენ მათ საქმე უშოვონ, რომ ხელმეორეთ არ ჩაითრიოს

\*) საზოგადოებას ოთხსამდე წევრი ჰყავს.

გარყვნილმა ცხოვრებამ. ანგარიშში მოყვანილია ცნობები, თუ სად და როგორ მოეწყვენ კალონიაში ნიიდან გამოსული ბავშვები. ამოვწერთ რამდენიმე მაგალითს: 1) პეტრე ჩ — კინი, კალონიაში შემოვიდა 25 თებერვალს 1897 წ., გათავისუფლდა 11 თებერვალს 1899 წ. წავიდა სამშობლოში ყუბანის ოლქში და ხელი მიჰყო მებაღეობას. 2) ავ — ვი მიხეილი, კალონიაში შემოვიდა 25 აგვისტოს 1896 წ., გათავისუფლდა 11 თებერვალს 1899 წ. შეისწავლა მეწაღეობა, წავიდა ქ. გროზნში და მოთავსდა ერთ სახელოსნოში.

### ნ ა წ ყ ვ ი მ ტ ი მ ი



უიქრთა გროვანი,  
სეკვა-გლოვანი  
გულზე მსწვება, ვით მძიმე ღოდო!  
მე შენ გიგალობ,  
შენ კი არ მწყალობ,  
დროვ სსანტრელო! მამიანლოვდი!..


შენით ვსუდგმულობ,  
ვმედგრობ, ვლომ-გულობ,  
შენითვე ჭირსაც დღეს ვუმკლავდები...  
მა და ნამდვილათ  
მისსნი ადვილათ,  
თუ დროზე გაბრწყინ-გავასკვლავდები!..

ცრემლი ნაკადი,  
არ დასაქადი,  
ჩანგის ობოლ სიმთ ზე ესხურება,  
ჩანგიც შენთვის უღეს,  
გულიც შენთვის ძეგეს,  
მანად-ყაშს გეტრფის, გემსახურება,

ქვეყნათ ეული,  
უძღურ-სხეული  
შენსკენ ვისწრაფვი გამაღებუდი  
და ხუ მაუგედრებ,  
თუ თავს გაუედრებ  
შენთვისვე მსხვერპლათ გამზადებუდი.

შენც გულწრფელობა  
და მივარეულობა  
დაჩაგრულ კაცის დაგვეალებ





და რამ ვერ გხედავ,  
 თქმის გაბიძედავ!  
 ნუ თუ კაცთ ტომი არ გებრალებს?!..

—

ახ, შუბი ვმახო,  
 ტანტი დავამხო  
 ცბიერების და ფარისევლების!..  
 დავგლიჯ-დავუქწო,  
 დავანამტეტო

ის, რაც წრე-ზღუდით მათ გარს ევლებს!..

—

ხმა მიწვეს ცამდე,  
 ზღვა-მთა-ბორცვამდე,  
 თუნდ, ცაჲ, შემრისხ და გამიავდე;—  
 მათ ჩაფხუტ-რიდეს  
 ზღვა-ხმელთა კიდეს  
 ვით ქარი პესესა, ვანაგებდე!..

—

ვიმარჯვ-ვისწრაფო,  
 ნარი გაუკაფო,  
 გზა გაუხრელო სანატრელ დრასა,  
 მსხვერპლათ თავს ვდებდე,  
 მას ვუმზადებდე  
 სამანად-ყაძო საბინადრასა!..

—

ვინ არს გამგებე?..  
 მე, ძალთ არ მქნე,  
 ჩემივ სიტყვებით მკაცრათ ვწბილდები  
 და სავაგლასოთ,  
 სასუფთაქმა ახოთ,  
 მხოლოდდა ნატვრით ვემყოფილდები!..  
 დ. თომაშვილი

### მსოფლიო გამოთენა პარიჟში

(ერთი თვალის გადავლებით).

(შემდეგი)\*

მარსის მოედნის სასახლეში ყველა ერთი მეორეზეა გადაბმული და წარმოადგენენ ერთ ვეებერთელა ლაბირინტს. გამოთენას რომ მხოლოდ თვალი გადავაგლოთ, საჭიროა 40-ჯერ მაინც ვავუარგამოვუარო ამ ლაბირინტს მთელ სიგძე-სიგანეზე. მარა გამოთენა იმდენათ მდიდარია თავისი შინაარსით, რომ ერთი თვალის-გადავლებით არამც თუ

შეიძლება მის დაფასება, არ შეიძლება წარმოადგენის შედგენაც კი. აქ საჭიროა მისი წილების ცალ-ცალკე შესწავლა. თუმცა ისიც კი ცხადია, რომ არც ერთი შესწავლა ქალაქადგინებთ არ მოგცემთ იმას, რასაც გამოგაცდევინებთ საკუთარი შთაბეჭდილებანი, როცა თვითონვე, საკუთარი თვალთ უცქერით გამოთენაზე უხვათ გადაშლილ საკვირველებათ. ერთი თვალის გადავლების აუცილებელი უხერხულობა იმაშია, რომ ადვილათ შეიძლება გვერდზე ჩაუაროთ სრულიად შეუნიშვნელათ ისეთ საგანს, რაც პირველი შეხედვით არაფრით იქცევს ყურადღებას, ნამდვილათ კი მეტათ საინტერესოა. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: აი პატარა პიანინო. პიანინო ბევრჯერ გინახავთ, თქვენ თვითონ დაგკრავთ, შეიძლება გიცეკვიათ კიდევ მის ხმებზე. რასაკვირველია აღარ დაჰკარგავთ დროს მის დათვლიერებაზე. ნამდვილათ კი ეს პიანინო ელექტრონის ტელეგრაფიული აპარატია; მისი ინტერესი კიდევ იმაშია, რომ იგი ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე მავთულით ორ სხვა-და-სხვა დებეშას გზავნის. ავერ კიდევ სანახავი. პირველი პიანინოს მაინც გვანდა და ეს აღარც პიანინოს გავს და არც მანქანას. სტოლზე გაბმულ-გამობმულია მავთულები. ერთ ადგილას მიმაგრებულია მოზდილი კამერტონი; სხვაგან ტელეფონის მზგავსა მოწყობილობა. ესეც ტელეგრაფიული აპარატია, გამოგონილი ვინმე მერკადისაგან (პარიჟის პოლიტექნიკური სკოლის დირექტორი), მისი საშუალებით ტელეგრაფისტი დებეშას კი არ კითხულობს, არამედ ისმენს ტელეფონში. დებეშა იგზავნება კამერტონით, რომელიც ათრთოლებულია ელექტრონით. ამ აპარატის ღირსება, რასაკვირველია, არა იმაშია რომ იგი უფრო „პოეტურია“, რომ „ჩხაკა-ჩხუკის ნაცვლათ იძლევა მუსიკალურ ხმებს, არა, მისი „პრეტენზია“ უფრო მეტია. იგი ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე მავთულით ჰგზავნის 24 დებეშას სხვა-და-სხვა მართულებით (12-ს ერთი მხრისკენ, 12-ს მეორისკენ.)<sup>1)</sup> სხოლოში დებეშები არ ირევა ერთი მეორეში, რადგან ყველა მათგანი იგზავნება ერთ განსაზღვრულ ტონზე (დო, რე, მი და სხ.) და თვითოეულ ტონს ღებულობს განსაკუთრებული „მონოტელეფონი“. უკანასკნელი ისეა მოწყობილი, რომ სხვა ტონის ხმა, რომლისათვისაც ის დანიშნული არ არის—რამდენიც უნდა ჩასძახოთ, მაინც უხმოთ რჩება. ამ გვართ რამდენიმე „ტელეფო-

<sup>1)</sup> აპარატი უკვე უცდიათ პრაქტიკაზე პარიჟსა და ბორდოს შორის; ერთ საათში გაუზზვენ-გამოუზზვენიათ ცხრაასი დებეშა.

\*) იხ. „კვალი“ № 36.




ნით“ და რამდენიმე კამერტონით იგზავნება რამდენიმე დღეში, ჯერ-ჯერობით 24. ტელეგრაფიული მავთულები შეიძლება გაყვანილი იქნას როგორც ჰაერში, ისე მიწაში. აგერ სხვაგან კიდევ მაშინა, რომელიც შორიდან იქცევს ყურადღებას არც თავისი სიდიდით და არც მებანიზმის სირთულით; თქვენ გვერდზე შეხედეთ მაშინას, — და შეიძლება უკვე დაღლილი თვალებით და უფრო კი შეწუხებული სიცხით, მიეშურებით სადმე დასასვენებლად. მარა აი მაშინიდან გადმოალაგეს ყინულის დიდრონი ნაჭრები, მაშინის გარშემო რკინები თოვლით დაიფარა. თქვენ შეჩერდით, უცქერით კარგა ხანს, მარა არც თოვლი და არც ყინული არა დნება. თქვენ, რასაკვირველია, იმდენათ გულ-უბრყვილო არ იქნებით, რომ კალენდარს შეხედოთ, თვის ანგარიში ხომ არ ამერია და აგვისტოს ნაცვლათ იანვარი არა დგასო. წარმოიდგინეთ, რომ ამ 40 წლის წინეთ (ხსენებულ მაშინას 50 წ. ისტორია აქვს) ამ გვარ სანახაობაზე შეიძლება თვითონ ევროპიელი დაფაცურებულიყო კალენდარის მოსახნათ, (ქართველს იქნება წმ. გიორგის სალოცავიც მოენახა) დღეს კი ყინულის კეთება ჩვეულებრივი ხელობაა. ყინულის საკეთებელ მაშინების რიცხვი ამ ჟამათ ყველა განათლებულ ქვეყნებში ყოფილა 40 ათასი.

ეს მაშინები ხიმიკოს—მებანიკოსების დახმარებით—დღეში აკეთებენ 40 მილიონ კილოგრამ ყინულს. ახლო მომავალში იმედი აქვთ ამ წარმოებაში ელექტრონიკ მოიშველიონ. ყინულის საკეთებელ მაშინებთან ხედავთ კვლავ „უბრალო“ მაშინებს. ეს „ჰაერის გამაცივებლებია“. მათი მეოხებით შეგიძლიათ ხორცი, ნედლი თევზი, ხილეულობა და სხვა, სრულიად უვნებლათ გზავნათ ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, რადგან სანოჯახე განსაკუთრებულ ყუთებში იქნება დაცული და გარს ყინულივით ცივი ჰაერი ედგება. კიდევ სხვა „უბრალო“ მაშინა რძეს აძლევს ისეთ თვისებას, რომ შეგიძლიათ იგი მთელი თვეობით შეინახოთ ან და გზავნოთ ძალიან დიდ მანძილზე, რძე მაინც ისეთივე რჩება, როგორც იყო ახლათ მოწველილი.

დასახლებული მაგალითებიდან მკითხველი ჰხედავს, რომ პირველი შეხედვით უბრალო მაშინებიც დიდი ყურადღების ღირსი ყოფილა და უფრო კიდევ მეტი ყურადღების ღირსია გამოფენის ის განყოფილებანი, სადაც წარმოდგენილია ახლათ გაჩენილი საწარმოვო ძალა, ახლათ ფეხ-ადგმული წარმოება. ასეთია მაგ. ელექტრო-ხიმიკური წარმოება სოდის, ხლორატის, ალბუმინის და საზოგადოთ ელექტრო-ხიმია მეტალურგიაში. ელექტრო-ხიმია ეპირება თურმე ახლო მომავალში მოგვცეს

სხვათა შორის წმინდა რკინა. ეს იქნება ისეთივე თეთრი, როგორც არის ვერცხლი. ასე რომ შეიძლება, ერთ შევნიერ დღეს „ვერცხლის“ ხიდებზე დავდიოდეთ, „ვერცხლის“ აივნებზე გამოვდიოდეთ და სხ.

მარსის მოედანზე წარმოდგენილია სწავლავანათლება (დაბალი, საშუალო, უმაღლესი; საზოგადო-სამეცნიერო, სპეციალურ-პროფესიონალური და ტექნიკური), ბექდვითი სიტყვა (პრესა, წიგნების მბეჭდაობა), სათეატრო ხელოვნება (დეკორაციები, არტისტების მორთულობა). მედიცინა, ხირურგია, ჰიგიენა და სხ. და სხ.; ხოლო ცენტრალური ადგილი უჭირავთ მაშინებს. მაშინები იტაცებენ მნახველის უმთავრეს ყურადღებას. წვრილ-




შვეიცის ჰავილიონი მსოფლიო გამოფენაზე. და პატარა მაშინებსა და ხელ-საწყობთან ჰხედავთ ორთქლითა თუ ელექტრონით ამოძრავებულ უზარმაზარ მაშინებს. მაშინა საზარლათ გრიალებს, გგონიათ, რომ ახლო მივეკარო ერთიანათ გამანადგურებლო, მაგრამ საკმაოა იქვე მდგომმა მუშამ ხელი წაავლოს მას განსაზღვრულ ალაგას, რომ ამ რკინა-ფოლადის გოლიათმა მაშინვე შეწყვიტოს ყოველივე მოძრაობა და სრულიად დადუმდეს; მაშინა თქვენ თვალ-წინვე ართავს, ქსოვს, ამზადებს ტანისამოსს, ფეხ-საცმელს, აკეთებს სასმელებს, ერბოს, ყველს, ხმელ ხილეულობას, ფქვილს; ჰბეჭდავს გაზეთებს,<sup>2)</sup> რეკლამებს, სურათებს და სხ.

<sup>2)</sup> გამოფენაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ თქვენ თვალწინვე დაბეჭდილი გაზეთები „Figaro“ და „Petit journal“.



და სხ. მაშინა თვითონვე აკეთებს თითქმის ყველაფერს, მუშა უმეტეს ნაწილათ მხოლოდ ჰმცთვალ-ყურებს მას, ან აწვდის მასალას და ართმევს ნაწარმოებს. ზოგან იგი დამზადებულ ნაწარმოებს თვითონვე აწყობს თავის ადგილას. აგერ მაგ. საბეჭდი მაშინა, ის არა მარტო ჰბეჭდავს, არამედ მწყობრათ ალაგებს ფურცლებს და შემდეგ თვითონვე ჰკეცავს დაბეჭდილ ფურცლებს. გარდა ამისა ჰხედავთ, რომ მაშინას საოცრათ გაუფართოებია სამოქმედო ასპარეზი. ხელი მოუკიდია ისეთი წვრილმანი საქმეებისათვისაც კი, როგორიც

თევზეული, ღვინო, ლიკიორები, ყავა, კაკაო და სხ. და სხ. თქვენ უკვე აირჩიეთ სასმელ-საჭმელი და ჩამოაგდეთ ლითონის ნაქრები. კედლიდან გამოხტა არჩეული საჭმელი, კრანიდან ჩამოისხა თქვენი მოწონებული სასმელი. აქ მეფისტოფელი, რასაკვირველია, არაფერ შუაშია. მუშაობს ადამიანისგანვე გაკეთებული ავტომატიური მოწყობილება. თქვენ ახლა მუსიკით გინდათ გაერთოთ თავი, მარა არც ერთ საკრავზე კი არ იცით დაკვრა ან და არა ხართ დაკვრის გუნებაზე. ამ შემთხვევისთვის აი როიალი. მიბრძანდით და მხოლოდ ფეხი და-



ავსტრო-უნგრეთის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.

არის მაგ. საჭმელების კეთება. აი სუფთა და გაკრიალებული სამზარეულო მრავალი მოსახარში და მოსაწვავი მოწყობილობებით. არსად ცეცხლია, არსად მზვარეული, მარა წყალი დუღს, ხორცი იხარშება, შამფურზე აგებული ბატი უკვე შეწითლებულა, მწვადი თავისთავათ ტრიალებს, ზევიდანაც ერბო წვეთ-წვეთათ ეცემა. ორიოდვე წუთიც და სადილი მზათ გექნებათ ელექტრონის სამზარეულოში. დაგრჩებათ მხოლოდ აიტანოთ სასადილოში და შეექცეთ (ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ საქმე ხდება ცხოვრებაში და არა გამოფენაზე), მარა იქნება თქვენ არც საჭმელების გატანით გინდათ შეიწუხოთ თავი. მაშ მიბძანდით იმ კედელთან. იქ მრავალ ადგილას პატარა ამოქრილებია ზედ წარწერით: ჩამოაგდეთ ესა თუ ის ლითონი; იქვე მიწერილი აქვს: სუფი, ხორცეული,

ადგილთ პედალზე. როიალი თავისთავათ უკრავს იმ პიესას, რომლის მოსმენაც თქვენ გინდოდათ. თუ როიალთან ჯდომაც არ გინდათ შეგიძლიათ სულ მოშორდეთ, ელექტრონი მაინც ოქვენს მაგიერ განაგრძობს დაკვრას. ახლა აღარც გშიათ, აღარც გწყურიათ, მუსიკითაც დატკბით, გინდათ მხოლოდ სადმე გავლა. ამისათვის ჩაჯექით ელექტრონულ ტრამვაიში. შიგ დაწნული სკამები და კრესლები ისეა მოწყობილი, რომ საითაც გაიხედ-გამოიხედავთ და მიტრიალ-მოტრიალდებით — სკამებიც იქითკენ ტრიალობენ. ეს ძალიან კარგი, მარა თქვენ გცხელათ, გააღეთ ფანჯარა, ამან არ იკმარა; ჩამოიოეთ ნახევარი კედელი, აიღეთ მთელი კედელი, მოიშორეთ მეორე კედელიც, გახსენით მთელი ვაგონი. თქვენ ახლა თითქმის აივანზე ხიხართ, მხოლოდ ეს აივანი სწრაფათ მიქროლავს



თქვენი მიზნისაკენ.<sup>3)</sup> მიიარ მოიარეთ მარა ამით არ დაკმაყოფილდით, თქვენ მოგზაურობის ტრფიალი ხართ. გინდათ შორეულ ქვეყნების ნახვა; სურვილი და შესრულება ერთი აყო. უკვე მატარებელში ზიხართ. გარეთ აუტანელი სიცხე-პაპანაქებაა, თქვენს ვაგონში კი საუცხოვოთ გრილა.<sup>4)</sup> გაიარეთ თუ არა ცხელი ქვეყნები, გამოიცვალეთ მატარებელი. ეს ახლა მიგუგუნებს თოვლ-ყინულის ქვეყნებში. გარეთ საშინელი ყინვაა, თქვენს ვაგონში საამურათ თბილა. ზიხართ რესსორებიან, რბილ და ძვირფას მატერია—ხავერდულობით გადაკრულ დივანში. იატაკზე და კარიდორებში ხალიჩებია დაფენილი. კედლებზე ტერმომეტრი, საათი, ელექტრონული ზარები. იქვე გაქვთ თბილი და სპეტაკი ლოგინი, გვერდზედვე სასადილო ოთახი; სტოლზე სასადილო ჭურჭელი და სამკაული შესანიშნავი გემოვნებით გაწყობილი სანდომიანათ ელვარებს და კრიალებს, შემდეგ ოთახში მზადდება საქმელები და სხ.<sup>5)</sup> გაათავეთ მგზავრობა და დაბრუნდით სახლში. აქ დებეშა დაგხვდათ (მერკადიეს სისტემით გამოგზავნილი) ერთ საათს შემდეგ ქ. X-ში. რომელიც თქვენი სახლიდან მოშორებულია თითქმის ასი ვერსით, უნდა გადაწყდეს მეტათ დიდი მნიშვნელოვანი საქმე. აუცილებლათ საქირთა თქვენი იქ ყოფნა, ის იყო სასოწარკვეთილებას უნდა მისცემოდით და კიდევ გაგახსენდათ ავტომობილი. მყისვე ჩაჯექით ამ შავარდენ ეტლში და ხირიმის ტყვიასავით გასწიეთ X-სისკენ. როგორც ძველი კაცი შიშობთ ვაი თუ დროზე ვერ მივიდგო და მოუსვენრათ საათს დაცქერათ. მარა შესრულდა ერთი საათი და თქვენ უკვე საქმეზე ბაასობთ ქ. X-ში. აი კიდევ მოისაქმიანეთ, ბევრიც იმოგზაურეთ, დედა-მიწას თითქმის გარს შემოუარეთ. ამ დროს განმავლობაში ჰკითხულობდით წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, რვეულებში იწერდით სხვა-და-სხვა შენიშვნებს, ჰგზავნიდით დებეშებს, ჰღებულობდით კორესპონდენციას, აძლევდით პასუხს (სტოლსა და საწერ-კალამზე არ დადონებულხართ არც ერთ უდაბნოში), მარა მიუხედავათ ყველა ამისა დაღალულობას თითქმის სრულებით არა გრძნობთ. ახლა გსურთ საყვარელ მეგობართან

გამოლაპარაკება, გინდათ გაუზიაროთ გზაზე მიღებული შთაბეჭდილებანი და სხ. მეგობარი რამდენიმე ასი ვერსით არის თქვენგან დაშორებული. ამისათვის სრულებითაც არ დადონდით. გადადგით რამდენიმე ნაბიჯი, დარეკეთ ზარი და დაუძახეთ მეგობარს. ორიოდ წუთი და მეგობარი კიდევ მოგესალმათ. მას სალამითვე უპასუხეთ და გაჩაღდა ცხოველი ლაპარაკი რამდენიმე ასი ვერსის მანძილზე. ცხადათ გესმით მეგობრის ლაპარაკი, მისი ნამდვილი ხმა, კილო, მოქცევა, მისი სიცილი. თავ-დავიწყებით გაშალეთ ხელი მეგობრის მოსახვევათ—მარა ხელი მარტო ტელეფონს მოხვიეთ. ეს არაფერია, თქვენ მაინც სრულიად ისიამოვნეთ მეგობართან ლაპარაკით. ესეც არ იკმარეთ. ახლა მოისმინეთ (თქვენსავე კაბინეტში, რასაკვირველია) შორეულ ქვეყნის სახელ-განთქმული არტისტის სიმღერა, მერე კიდევ რომელიღაც შესანიშნავი პოლიტიკოსის პარლამენტში თქმული სიტყვა და სხ. ყველა ამას შემდეგ, თქვენ მაინც გული გულის ადგილას არა გაქვთ. უცხო ქვეყნებში მოგზაურობის დროს ერთ შევნიერ არსებას მოუჯადოებინხართ და გულიც მასთან დაგიტოვებიათ. რასაკვირველია არ დაკმაყოფილდებით სატრფოსთან მხოლოთ გამოლაპარაკებით, არ იკმართ არც იმის სურათის ნახვას, თუმცა სურათი საოცრათ გავს ნამდვილს, კიდევ დადის, მოძრაობს და სხ. უსათუოთ გინდათ პირის-პირ ნახვა. არაფერი გაეწყობა უნდა წახვიდეთ, მარა როგორც შეყვარებულს, არ გინდათ მიმართოთ არც ერთ ჩვეულებრივ გზას. მაშ აი ჰაეროსტატი; ჩაჯექით და პირდაპირ გადაფრინდით თქვენ ანგელოზთან. ეხლა? თქვენ რასკვირველია მზათა გაქვთ ახალი სურვილი და... ძნელი წარმოსადგენია, რომ ვერ იბოვოთ მისი განსახორციელებელი საშუალება, მსოფლიო გამოფენაზე მაინც. ერთი სიტყვით, ის, რაც გუშინ მხოლოთ ცელქი ფანტაზია იყო, რასაც სიზმარეთს ვეძახდით, დღეს უკვე განსახორციელებულა, სინამდვილეთ გადაქცეულა. თანამედროვე ადამიანის საწარმოვო ძალები იქამდის გაზდილან, რომ სწორეთ სასწაულთ-მოქმედებენ. ადამიანი გუშინ სუსტი და უიარალო მსხვერპლი ბუნების უბრალო თუ რთულ მოვლინებათა, დღეს ბუნების ქეშმარიტ მეფეთ გამხდარა. ადამიანი უკვე ბედნიერ არსებათ გეხატებათ და ეძლევით უსაზღვრო აღტაცებას, მარა აი გაიარეთ რამდენიმე ნაბიჯი იმავე მარსის მოედანის გამოფენაზე და წაადექით ერთ სტოლს, რომელზედაც მრავალი ქაღალდები და ტაბლიცები აწყვია ციფრებით აქრელებული. ციფრები გვატყობინებენ, რომ თქვენ მიერ ბედნიერათ დასახული ადამიანი სიცოცხლზე უარს ამბობს და

<sup>3)</sup> დასახლებული ტრამვაი წარმოდგენილია ამერიკისაგან, იმყოფება ვენსენის ტყეში, ქალაქ გარეთ. ვენსენის ტყეში მოთავსებული გამოაუენა მარსის მოედანის გამოფენის გაგრძელება.  
<sup>4)</sup> ვაგონები წარმოდგენილია გერმანიისაგან ვენსენის ტყეში. გაკეთებულია ისეთი მასალიდან, რომ სიცხეს არ უშვებს. დანიშნულია ცხელ ქვეყნებში მოგზაურობისათვის.  
<sup>5)</sup> ვაგონები (wagons—luxes) წარმოდგენილია გერმანიისაგან ვენსენის ტყეში.



თავის ხელითვე თავს იკლავს! სტოლზე გამოფენილია საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკური ცნობები სხვა და სხვა დანაშაულობათა და აგრეთვე თავის მკვლელობის შესახებ. თუ გავშინჯავთ უკანასკნელის ციფრებს და შევადარებთ 25 წლის პერიოდებს, დავინახავთ შემდეგს: 1831—1855-დგ თავის მკვლელობის რიცხვს უმატნია 1,811-ით; 1855—1880-დგ—2,250-ით; უკანასკნელი პერიოდის რიცხვი კიდევ უფრო მეტი იქნება, რადგან უკვე აღებატება წინანდელს 2000-ით. თავის მკვლელობა მატულობს კერძოთ მცირე წლოვანთა შორის, მატულობს აგრეთვე ქალებს შორის. მერე რისთვის იკლავენ თავს? მიზეზი, რასაკვირველია, მხოლოდ სიღატაკე არ არის<sup>6)</sup>. მიზეზთა კვლევა შორს წაგვიყვანს, მარა რითაც უნდა ავხსნათ თავის მკვლელობა, ხელ შეუხებელი დარჩება ერთი ფაქტი. ადამიანი თავს არ მოიკლავს თუ მისთვის ღიაა მეცნიერება-ხელოვნების კარი, ხელ-მისაწდომია ნივთიერი კეთილდღეობა. ადამიანი თავს არ მოიკლავს, თუ კი ის ცხოვრებიდან გარიყული არ არის. რაც შეეხება კერძოთ სიღატაკეს, ამაზე კარგათ ლაღადებს გამოფენის სხვა ნაწილები, თუნდ ის განყოფილება, სადაც წარმოდგენილია სახელმწიფოს, დეპარტამენტების, კომუნების და კერძო საზოგადოებათა ქველ-მოქმედება. მერე თანამედროვე ტექნიკა, სასწაულო-მომქმედი საწარმოვო ძალები? ესენი ამზადებენ აუარებელ სიმდიდრეს, მათ შეუძლიათ კიდევ მეტი დაამზადონ, მარა სიმდიდრე მაინც არ არსებობს. ადამიანი მაინც სიღატაკისაგან სასოწარკვეთილებამდე მიდის! ადამიანი ძლევა მოსილებით ცვლის და ასხვაფერებს მთელ ბუნებას თავის საჭიროება კეთილდღეობის მიხედვით, მარა ის მაინც იმდენათ უძლურია, რომ დღის სარჩოც ვერ მოუბოვებია. ადამიანს მეცნიერება იქამდის განუვითარებია, რომ მთელი სამყაროს წარსული და მომავალი სინათლეში გამოუტანია და დღემდის ღმერთებთა აღსარებულ, საიდუმლო ძალებს თავის სურვილზე ათამაშებს. მიუხედავად ამისა მეცნიერების პირველი ასოებიც კი გაუგებარი რჩება; ადამიანს მოუბოვებია აუარებელი საშუალებანი ესტეტიკურ სიამოვნება—სიტკბოებისთვის, მარა ხელოვნება მაინც უცნობი ხილია; ადამიანი ცამდის ამაღლებულა,

<sup>6)</sup> მიზეზთა წუ დასახელებთ ავით მყოფობას, რადგან დღეს მეცნიერებამ აღარ იცის ისეთი ავთომყოფობა, რომლის აცილება თუ განკურნება შეუძლებელი იყოს. თვით შავი ჭირი და სხვა და სხვა ვპიდემიები. რაც გუშინ ჩვენ წინაპართ მუსრს ავლენდა, დღეს პასტერის მკერი სურათის წინაშე უკან იხევს და ხვალ ზღაპრათ გადაიქცევა.


ადამიანს მთელი ბუნება თავის საბძანებლოთაგან უკვე და იმას მაინც არა აქვს აღვილი, სად მოიღრიკოს თავი თვისი. ადამიანო! რას ნიშნავს ეს ამოცანა?

ლ. დ.

ქართული ელომის ახალი გუნდი


რგორც მკითხველებს მოეხსენებათ, წარსულ შემოდგომზე თფილისის სამღვდლოებამ ჩვენი ქართველი ეპისკოპოსების თავმჯდომარეობით, დაადგინა, რომ ქართული სამშინანი კაღობა დადგინონ და უწინდებულათვე გააგრძელონ საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევათ, გადაწვეიტეს იყოლიონ ჯამაგინით ქართულ მკაღობელთა გუნდი, (იგივე მოძრავე სკოლა) რომლის ლოტობრათც იქმნა დამტკიცებული ბ. კავსადე. გუნდის შენახვას, რასაკვირველია, თული მოუნდებოდა და ამისთვის, მათ სსკინო თული ივისრეს ზოგი თვით მათ მეუფებთ და ზოგიც გაიწერა თფილისის ეკკლესიებზე და სამღვდლოებაზე, რამც რიგინი ჯამი შეაყენა. ეველა ეს ძალიან კარგი და კეთილი, მაგრამ თფრო კიდევ დიდ სამსახურს გაწვეკენ იმ საქმეს მაშინ, რადესაც ეს თული უნყოფოთ არ გაიფლანგება და ქართული კაღობა მართლაც ფესვს გაიდგამს. თუმცა დღეს არ არის უნყოფოთ გაფლანგული და თვალით ვხედვთ იმ ნყოფის ნიმუშს, რომელსაც ვეძებთ და რომლის ადგენასაც ვდდილობთ, მაგრამ სიფრთხილე კვმართებს ახლავე. ბ. კავსადე, დამტკიცების დდიანვე შეუდგა გუნდის შედგენას და შეადგინა კიდევ თხუთმეტი კაციისაგან, რომელთაც მალე თვისი მოქმედება დაიწვეს თფილისის ეკკლესიებში. ეს გუნდი ძალიან კარგია და ჯერ-ჯერობით არ არის უბრალოთ გაფლანგული თული და თვალით ვხედვთ დიდ ნყოფს, მხოლოთ სადღეისოს და არა სახვადიოს! აი როგორ: —სამღვდლოებამ ეს გუნდი დაადგინა იმ მიზნით, რომ მის მხრით გაგრძელონ საქართველოში კაღობა და უწინდებულათვე დადგინონ სამშინანი კაღობა, ესე იგი იყოს „მოძრავე სკოლათ“, მაგრამ ჩვენდა სამწუნაროთ, ამ გუნდს მგონი, რომ სკოლობისა არ ეტეობა-რა, რადგანაც იქ, იმ მიზნით არავინ არის. რომ კაღობა გააგრძელოს და სსკოღოებისთვის იზრუნოს რამე. ამ მხრივ, სამღვდლოებამ ეტვის თვალით უდქქრასამ გუნდს და შიშობს. რომ. ბ. ლოტობრამ, ამ სენს მხარი აუქციოს, პირველათ, უნდა ეცადოს, გუნდში იყოლიოს ზატარა ბავშებიც და არა სულ დიდები, თფრო მისთვის, რომ ბავშის ხმას სულ სხვა კარმინია აქვს კაღობაში. მეორეთ ის, რომ კანურჩველათ ეროვნობისა და წოდებისა, მიიღოს გუნდში ეველა კაღობის მსურველ-მოყვარული, რომელნიც კა ივისრებენ თფისოთ სიარულს სწავლის გულისთვის, კარდა მუდმივ მკაღობელთა. ბავშები შეიძლება რომ მოიკრიფოს ამოჩვევით, თვით სამრველო





სკოლებში, რომლებიც ადვილათაც ისწავლიან, მშობლებიც მადლობელი განდებიან და ფასითაც ცოტათი დაკმაყოფილებიან და ან სულაც არაფერს ითხოვენ. თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან ძნელია, რომ ასეთმა გუნდმა გალობა გააგრძელოს და ეს ამოდენა ფული მუქათათ არ შიანთქას. იმედია არ იწუქენ ამ მცირე შენიშვნას, რადგან ყოველი კაცი მოვალეა, ნამეტნავათ კი ჩვენ, სამღვდლოება, ზირდაზირი ღაზარაკისა.

თფილისის სამღვდლოებათაგანი სერგი.



ბ. ს. ქმარნიანი

მოთხრობა „ანჟელინა“ ლექსიკონითურთ.

როგორც წიგნაკის სათაურადან ჩანს, მოთხრობის გმირი ვიღაც უცხოელი უნდა იყოს და, ისიც ქალი; ეს გარემოება უფრო აჩვენებს ინტერესს წიგნაკის შინაარსის გაგებისას. ამ შემთხვევაში ბ. ქვარაძის მკითხველის ფსიქოლოგია უფრო კარგათ გამოხატავს შესწავლილი თავისი მოთხრობის გმირის ფსიქოლოგიას. ეს ერთ გვარი რეკლამა ქართულ ლიტერატურაში ბ. ქვარაძისაგან შემოტანილი. ანუელისა მართლაც უცხოელია, ქალი ღიბიანი მუშისა. დღევანდელ უკუღმართ სოციალურ გარემოებას განწობილებას, ეს მშრამელის შვილია, უმანკო 17 — 18 წლის ქალი, ქუჩაში გამოუყვანია და ტანით ავაჭრებს. ეს არის ნასკვი, დედა ბოძი, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს შინაარსი 68 გვერდის მოთხრობისა; მაგრამ ეს ნასკვი სადღაც შორს მიმალულია, და ბევრი ხრამი და ხრანკელი უნდა გაიაროს, სანამ ამ ნასკვს დაინახვდეთ, დედა-ბოძს შეამჩნევდეთ. გადაშლით წიგნაკს, კითხულობთ 1—2 გვერდს, 4—5 10—15-ს 20—25-ს ამათ—ანუელისას ხსენებაც კი არსად არის. მაშ რაზე გვემასხათება ბ. ქვარაძის მოთხრობის 1/3 ნაწილში? უკვლავად რა. ღიბის ქუჩებზე, სტუდენტებზე. „გაზ-ელექტრის ღაზღაზი სინათლეზე“, სავაჭრო სადგურებზე, ბრასერებზე, კამკაშა ჭაღებზე მადანიის ვიტრინებზე, ბურჟუაზიაზე და მუშებზე, კელნერებზე, ლუი ფილიპზე, ბანკეტებზე, რანდუშზე, ბოკაშზე, კირზე, ასისტენტზე, ნაზღვონ ზირველზე, რეგულირებაზე, კომუნიკატორზე, რეკლამებზე, მთხრობებზე, ავტომატებზე, ფონოგრაფზე, სინემატოგრაფზე, რენტგენის სხივებზე, ფურფიერის ტანსაცმელზე, აესუიტებზე, შოკინიზმზე, ვიტრინზე, რუსოზე, მოლაბოზე, კონტზე, გამეტაზე, ტენზე, რენანზე, ბრუნოზე, სერვეზე, ტრეპეზადზე, მორფეზე, დიანაზე და კიდევ ვინ იცის ვისზე. დღითი წინაშე, ერთ ადგილას ბოდიშს კი იხდის ავტორი—სიტყვა მეტათ გაგიგობელეთა: „მომიტყვეთ, ბატონებო, მეტათ გადავცდი სიგანს, მაგრამ რას იზამ! სოფრანგებზე გესაუბრებით და ხუ გი-

კვირთ, თუ ჩემი მოთხრობა ცმუტავს და გადავცდის, თუ საზიდან შეიკრებთ ისე, როგორც იცვლიან საუვარდლებს ფრანციის კაზნა ქალები“ ოღონდაც! განა ღიბის ჭიათურა? თუმც მართალია ბოდიში მოიხდა და დავუზიბოდა მაღე საქმეზე გადავლო, მაგრამ მოგტყუვდით—ის ისევე გლახს ჭრელაშვილივით თავიდან მოჭყვავს „კანკაზა-ლზე“ და „სერჰანტინებზე“ მასლათს; არ მოუსვენს საფლავში ომისაგან დამაშვრალ ძულებს დიდი ნაზღვონისას; გამოიხმოს სიკიბიდან თავიანთ მოძქეთაგან დახტეილი კომუნარები; სობრლო სოფრანგებს წესი აუგო — შოკინიზმის ჭაბშია ჩაფლულია; გაჭყვავს ასე და ზოტურ გატაცებაში იმ ზომამდე მივიდა, რომ კრუსს კვერცხი დაადებინა. უკვლავ ამას ანუელისასთან ხომ არავითარი კავშირი არ აქვს? მაშ რათ შეიწუხა თავი ბ. ქვარაძისა, ან მკითხველს რათ წაართვა ძვირფასი დრო? ზასუხი მხლოთ ერთათ-ერთი შეიძლება: უკვლავ ეს რეკლამა — ვითომ, შემომხედეთ რა მცოდნე ვინმე ვარო.

ასეა გადვიდეთ მოთხრობის უმთავრეს გმირზე. როგორც თავში მოკახსენეთ, დღევანდელმა სოციალურმა ზიბობებმა ანუელისა იმ ზომამდე მიიყვანა, რომ იძულებული გახდა ქუჩაში გამოსულიყო და თავისი უმანკობა გაეიდა. ამ გვარი მოვლენა სშირია არა თუ ევროპაში, საცა ლუკმა ზურისთვის ბრძოლა უმწვერვალეს წერტილამდეა მისული, არამედ ჩვენ კურთხეულ კავკასიაშიც. აქ სსსტკ, მაგრამ ცხოვრების სრულ სინამდვილესთან აქვს ავტორს საქმე და რომ ბოლომდის შერჩენოდა ამ სინამდვილეს და „ცმუტავს არ დაწყო ისე, როგორც ფრანციის კაზნა ქალებს“, იმ შემთხვევაში იქნება მოთხრობას რაიმე მნიშვნელობა შერჩენოდა, მაგრამ ავტორმა უდალატა სინამდვილეს.

დღევანდელი ზიბობების ძალით ანუელისას თავი უნდა გაეიდა, ორიოდ გრძობი ეშოვას და მომაკვდავ დედისა და და-ძმისთვის ლუკმა მიეწოდებია; ასე უნდა ევაჭრა მას ხვალ, ზეგ; ბოლოს ეს სელობა თავის ზროფისათ გაენახა და სამუდამო ჩაწერილიყო იმ ქალთა რაზმში, რომელთა დანახვაზე „პატრონისა“ მანდილსებები ზიბოთ ტუჩებს დამანჭვენ და ფეხს აუჩქარებენ ხოლმე. აი, ასე ხდება ცხოვრებაში, ასეთია ბოლო ამ უბედურ არსებობა. ავტორმა ცხოვრების სინამდვილეს გვერდი აუხვია და უნიადგო ფანტაზიობობას მოჭყვავს. ანუელისას ვიღაც ქართული ავტორისა და მოინდომა დაესტატა ბრძოლა სიხილისსა და ვნებათა დედაის შორის; ავტორს ეკონა ეს ადვილი მეტათ დრამატული იქნებოდა, მაგრამ, გინდა უნებურათ, ისეთი ფარსი გამოვიდა, რომ თქვენგან მოწონებული. ამოწმებოთ რამდენიმე ადგილი. — ანუელისა, ავრე არ ვარცა, სულდგო, (ამას ამბობს სოსო, როცა თავის ოთახში შეიყვანა ქალი და გახურებულ ბუხარს მიუსვა) სველ სამოსელს რომ ტანზე იძობ, ძლიერ გახენებს, ავად გახდები, გაიხადე და გაფინგ; შენ კი ჩემი ხალათი ჩაიცვი. — ავტორი და მოუტანს ს-



ქართველადან წადებული აბრეშუმის ხალათი და ჩუსტები. (ბოლოს ვტყობილობთ, რომ ხალათი ჭრელი უფოილა, ხალათ ჩუსტების შესახებ დაწვრილებით ცნობებს არ იძლევა ავტორი) ქალმა სიამოვნებით დამიჯერა, წამოხტა საოცარი გრადით, მოხინადა შავი, გაინადა კურტკა, გაინადა ფეხზე და შეუდგა კაბის და კანსეტის ხდას. (ვერ ჩქონია ანუქლინის კარგი ჩვეულება — ფეხზე ბოლოს უნდა გაეხდა.)

„არ შემომხედო, იცოდე!“ დამიძახა მორცხვით და გამიღიმა სანეტარით.

— არა, ლამაზო.

მე მივიფარე თვალებზე ხელი, მაგრამ უნდა გამოვტყუდე, სული მიმიღოდა, რომ ერთი მაინც დამეხანა მისი ქროფა სხეული. დავძლიე თავს და არ გაიხედე. (ამაზე მეტი გმირობა ვიდევ გინდათ?) ანუქლინამ გაიძრო უცებ ვეკლავური ზერანგის გარდა. მე კი ამ დროს ვიყავ თვალ დახუჭული და ვუთბობდი ხალათს. სწავალი სისო!

— მზათ ვარ; მომე ხალათი!.. გაიწვრიალა ანგელის ხმამ. მე მივაწოდე იგი. (რა საცოდავი იქნებოდა სისო თვალებ დახუჭული ხალათით ხელში ანუქლინის მძებნელი.)

— აა... იურები!..

— არა, დამეხანა.

მან ჩაიცვა უცებ ხალათი და მობრუნდა ჩემკენ. დიღები არ ჩქონდა შეკრული. მე ვეღარ მოფითებინე და შევხედე... (აი შეურცხვა სისოს ვაჟგაცობა!)

ამისობაში აღუდგა წყლივ. მე აღარ მახსოვდა იგი. (სისომ წყალი შედგა ასადულებლათ ჩაისთვის და თვალხუჭია სიარულში და ხალათის თბობაში გადააიწიდა კიდევ). ბოლოს როგორც იქნა სისომ „გაფანტა ქვენა ფიქრები და გაერთო მადალ გრძობებს“, გაუკეთა და მიაჩნდა ჩაი სტუმარს; აუხსნა, რომ საქართველოში არა თუ სვამენ, კიდევ მოჭევივთ ჩაი და აუწერა აგრეთვე კავკასიის და რუსეთის ვითარება. ფანტაზიაც არის და ფანტაზიაც, მაგრამ უნდა გამოვტყუდე, რომ ამ გვარა ჩვენ სიცოცხლეში არა თუ სადმე წავიკითხავს, არამედ ზღაპრათაც კი არ ვვსმენია. ბატონო! რა დროს ლექციის კითხვას? ერთი მხრით ქალს დედა სიკვდილის პირათ ჭეკავს დატოვებული, პატარა და—ძმა მშვირები ეხრება, მეორე მხრით სისოს ჭირის ოფელს ასხამს, ქალის სიმშენიერე ათას ბიწიერ გრძობებს უშლის, ვნებათა დეღვამ ღამის ბორკილი გავლივს. ამ გვარ პირობებში განა შესაძლოა ლექციის ან წაკითხვა და ან მოსმენა? ნურას უგაცრავათ ბ. ქვარაინთან, და ეს ადამიანის ფსიხოლოგიის სრული წინააღმდეგობაა.

ბოლოს რითი გათავდა ეს საქმე? არაფრით. იმ დამეს აუქლინამ იქ დამინა ჭრელ აბრეშუმის ხალათში; დილით სისომ გადავიდა სტუმარი—ადექი, დაიკო, რვა სსათია უგვეო, მისცა უკანასკნელი ხუთ ფრანკიანი, თითონ

კი მხოლოდ ორი სუ დაიტოვა, ქალმა ორჯერ დაუწყო სიყვარულით აკოცა და მოშორდენ ერთმანეთს; თან სიტუვა ჩამოართვა სისომ ქალს, რომ ის კვლავ ინახულებდა მას და გაეშინს არ გაწვევტდა. ალბათ ლექციების კითხვას თუ უპირებდა. ასეთია ბ. ქვარაინის მოთხრობა თავისი შინაარსით. ახლა გავშინჯოთ ის უნის მხრივ.

პირველათ თქვენ უცხო სიტუაციის სიმრავლე გაცნობთ; უცხო სიტუაციები იმდენია, რომ ავტორს საჭიროთ დაუნახავს წიგნაკისთვის ლექსიკონიც დაემატებია. მაგრამ ამაზე შემდეგ. ჯერ ქართულ სტილს მივაქცევთ უურადღებს. „ქალების მოვალეობაა, — ვკითხულობთ ერთ ადგილას, მშენიერი მორთულ-მოკაზმით ისეირნონ დიდ ქუჩაზე“. სეინობა ცხენით შეიძლება, ან კიდევ ეტლით. „აი კიდევ ერთ ურემს მთავრებენ ემაწვილა კაცი და ძაღლი. შენ მზეურ ამ ადამიანით და ძაღლებით შემოულ საცოდავ ურემებს.“ ურემებისეცავი საცოდავი, თუ ურემში შემოული ადამიანი? — „ჩემი თვალები უნებლიედ გაედგვნა მის ნარნარა კვალს“. კვალის სანარნარე პირველათ მესმის. აი კიდევ ერთი ნიმუში; აქ ანარნარა ანუქლინის თვალებზე: „მისი იის ფეროვნება აფრქვევდა მაისის სუნელოვან ბალახინს, მისი ნაზი მოყუყუნარე სხივები აკავშირებდენ თვით ცასა და დედამიწას და გახვევდენ საიდუმლო ამულის და ნეტარების ვარდისფერ ბურუსში... ოჰ, ის საოცნებო თვალები ჟღერდენ თითქო ზენარ ლირიზმს, ზენარ პოეზიას! იმ თვალებიდან ისმოდა თითქო ციური სიმფონია“!.. როგორც გნებავთ, და მე აქ არაფერი არ მესმის იმის მეტი, რომ რაღაც უნდა ეთქვას ბ. ქვარაინს იის ფერ თვალებზე.

ახლა გადავიდეთ ბ. ქვარაინის ლექსიკონზე, ეს წიგნაკის დამატება; აქ ავტორს უნდოდა დაენახებია თავისი ლექსიკონ-გრაფიული ნიჭი, მაგრამ, ვაი თქვენ მტერს, რომ აქაც ჩაიკოჭლა ბ. ქვარაინმა: ჯერ ერთი, რომ ბევრ სიტუაციას ავტორმა გვერდი აუხვია და აუხსნელი დატოვა, როგორც მაგალითათ, ანაქრონიზმი, პიზნოზი, ემოცია; შეიძლება ბ. ქვარაინს ეგონა, რომ სიტუვა ემოციის მნიშვნელობა ეველას ესმოდეს და ვოლტერი და რუსო არავის გაეგონოს ვინ იუვენ? ცდება დიდათ. მეორე, თვით ახსნილი სიტუაციებიც აუხსნელია. რეფლიუციაო, ამბობს ბ. ქვარაინი, — ამბობება, რომელიც ამ ასი წლის წინეთ მოხდა საფრანგეთშიო, თითქო მარტო საფრანგეთში მოხდა რეფლიუციაო. კანიტალისტური წიგნილება — ფულიანთა ანუ შექლებულთა ბატონობაო, — გვასწავის ბ. ქვარაინი; ჩვენ ჩვენი მხრით დავკითხებით ბ. ქვარაინს, ვინ იუო ნეტა გაბატონებული მონობის გინდა ბატონუმობის დროს, ნუ თუ არა შექლებული? მაგრამ კმარა! ტუვილათ კი არ არის ნათქვამი — ენამან ჩემმან წამწეშიდაო, სურვილმან განდიდებისამან დამამცირა მე, დაუშატებო ჩვენ.



# გაზაფხული

სურათი ე. მაღიშვესკისა.

(თარგმანი)



გაპენტილი ბამბასავით თეთრი ღრუბელი ამოცურდა მაღლა ლაჟვარდ ცაზე, ხეების წვეროებს დაუბერა სიომ, გაისისინა ფოთლებში და გაჰქრა შორს-შორს. ფოთლების შრიალმა გამოაღვიძა ქალარა მოხუცი, რომელიც სა-

ვარძელზე ჩამომჯდარი თვლემდა ორ მოზრდილ ნეკერჩხალს ქვეშ. მოხუცმა თვალები გაახილა, დაამთქნარა და „გაზეთებს ხელები დააფარა, რომ ქარს არ წაეღო. მეორეთ დაუბერა ქარმა ახლა მიწას და ამტვერა ხეივანი. გაჰქრა ქარი, ბალი მოიცვა სიჩუმემ, ხეები აღარ ინძრეოდნენ, ტოტებმა და ფოთლებმა თავი ჩაქინდრეს, მთელი არე-მარე, თითქოს ოქროს წყალში ამოავლესო, ისე ბრწყინავდა მზის სხივებზე. მოხუცი დიდხანს უცქერდა ამ სანახავს და თავს რაღაც მსუბუქათ გრძნობდა, თითქოს მოხსნეს ზურგიდან ხნოვანებაც და გავლილი ჭირ-ვარამიც. ის ამ სიმსუბუქის მიზეზების გამორკვევავზე დიდხანს ფიქრობდა. უცბათ თითი შუბლზე დაიდო და სახე გაუნათა მხიარულმა ღიმილმა.

— იუზიკ! — წაიჩურჩულა მან. — იუზიკ! როგორ შემეძლო დამვიწყებოდა მე ის!

მართლაც და ანაირი გულმავიწყობა არ იყო მოსატყვევებელი. — მხოლოდ გუშინ დაბრუნდა სოფელში მისი საყვარელი შვილი-შვილი, სწავლა დამთავრებული, რომელმაც გამოუთქმელი სახარული აგრძნობია მოხუცს. მერე როგორ საკვირველათ გამოიცვალა მისი მოსვლით ყველაფერი: სახლი, სოფელი და თითქმის მთელი ქვეყნიერებაც!

თითოეული ოთახი სახლისა, თითოეული კუთხე ეზოსი გაცოცხლდა, ახმაურდა, გამხიარულდა... მოსამსახურეებსაც ისეთი მხიარული სახე ჰქონდათ თითქოს იმათაც მოხვდა ბედნიერების ნაპერწკალიო, თითქმის ეზოს ძაღლებიც, წინააღმდეგ ჩვეულებისა, იჩენდნენ სიფხიზლეს და მხიარულათ ჰყეფდნენ. და სულ ყველა ეს მოხდა თვრამეტი წლის, ქერა ხუჭუჭ თმიანი, ბრკყვიალა თვალებიანი იუზიკის მოსვლით. მოხუცი აქამდის ვერ გამორკვეულიყო

ოცნებიდან.

— ქალები შეიყვარებენ! — ჩურჩულებს უსიყვარულო მათ. — რომელსაც თვალს გადაავლეს...

ბებერს იპყრობს ნეტარი აღტაცება და ყველაფერი ბრწყინვალეთ ეხატება. რა შვენიერი დღეა დღეს! მზე როგორ ზომიერათ გვათბობს; ცაზე ნელ-ნელა მიდი-მოდიან ღრუბლები, თითქოს თეთრი გედებიო, შეცურდებიან მზის სხივებში და დროებითი ჩრდილს აყენებენ ხე-ბაღახებს...

მაგრამ აი მზის სხივებისაგან წაკირწყლულ საყვავილეზე გამოჩნდა წვრილი, გრძელი, როგორც ხარისა ჩრდილი და გამოეშურა მოხუცისაკენ...

მოხუცს გული უცახცახებს შეშინებულ ჩიტსავით.

— იუზიკ! ყვირის ის კანკალით, მოდი აქ, ჩემო კარგო!

მოვიდა მაღალი ტანის ქაბუკი, რომელმაც, ძველი ჩვეულებისამებრ აკოცა მოხუცს მხარზე. ახალგაზდას მეტყველი სახე აქვს; ქაბუკი დაჯდა იქვე ახლო მეორე სკამზე, რომლისაგან მოხუცმა გაზეთები აიღო, და ღიმილით დაუწყა ყურება ხალიჩის გვართ გადაშლილ სათიბ-მინდვრებს.

ცოტა ხანს ორივენი ჩუმათ ისხდნენ. — სად დახეტიალობდი? — ბოლოს ეკითხება მოხუცი, რომელიც ჯერ არ დამტკბარა ახალ მოსული შვილი-შვილის ცქერით.

— ყოველგან, ბაბუჯან, ყოველგან. პურის მკას ათავებენ. ხვალ უნდა მოზიდონ.

— ნეტავი წვიმა არ იქნებოდეს და!

— არ იქნება. კარგი ამინდი დადგა. ცოტა თუ წამოწვიმდება, არა უშავს-რა.

— თავლაში იყავი?

— ვიყავი. კაშტანკას კვიცი ჩინებული ცხენი იქნება.

— მაშ გვზდება საჯდომი ცხენი?

ქაბუკმა არა უპასუხა-რა, იმან დაადო თავი მოხუცს მხარზე და ისე იჯდა ცოტა ხანს.

— იცი, ბაბუჯან, მე ვიყავი აგრეთვე მოხუცნიკოლოლოზთან. იმას ძალიან გაეხარდა ჩემი ნახვა. მხოლოდ ეს არ მესიამოვნა მე, რომ მოხუცმა-ნიკოლოზმა ძალიან დაბლათ დამიკრა თავი, თითქმის მიწამდის.

— მერე რა? შენ გსურდა მას ხელი ჩამოერთმია და „შენ“ობით ელაპარაკნა?

— არა, ბაბუჯან. მაგრამ მიეხვდი, რომ ის კანკალებს იმ ლუკმისთვის, რომელსაც მას აქ სა-მადლოთ აძლევენ. ეს არ უნდა იყოს ასე.

— მესმის, ფილოსოფოსო, მესმის.



— მოიფიქრე, ბაბუა! სანამ შენ ხარ ცოცხალი, არ დაივიწყებ ძველ მოსამსახურეებს, მაგრამ მოვა ვინმე სხვა, მაგალითათ მე, და აღარ ინებებს იმათ რჩენას.

— მართალია, მართალი, შენ არ ინებებ იმათ რჩენას, — ეუბნება დაბალი ხმით მოხუცი — მერე, მერე?

— ეს არ უნდა იყოს ასე. ნიკოლოზმა, სიბერემდის განუწყვეტელი შრომით დაიმსახურა უფლება ამ ლუკმაზე, მაშასადამე ვინახავთ მას და ვარჩენთ სამადლოთ კი არა, ეს ჩვენი ვალია. ყოველ კაცს უნდა ჰქონდეს სარჩო მოხუცებულობის დროს.

— ივლი შენ უწალოთ, ჩემო კარგო?

— უსულ-გულობას ფეხტიტველობა ჯობია.

— მუდამ სხვებზე ვერ იფიქრებ.

— და თუ მე მსურს სხვებზე ფიქრი? თუ მე გულს მიწყლულებს ყოველი უსამართლობა, თუ გული მტკივა ძალათ დამცირებულთათვის?

— მაშ მიეცი ობლებს დედა, ბებრებს — კეთილი ღონიერი შვილები, ავამყოფთ — სასწაულოთ-მომქმედი მკურნალი, და ყოველ კაცს — ბლომათ ფულები — ხუმრობს მოხუცა და აშტერდება შვილი-შვილს სახეზე. მაგრამ იუზიკი პასუხს არ აძლევს, ის რალაცაზე ფიქრობს; თვალებიდან კეცხლს აფრქვევს, უცბათ სახე ეტკრიცება. ის მყისვე ლაპარაკს იწყებს.

— ყველაფერს, რაც კეთილია ქვეყანაზე, ჩვენ გვანიჭებს პროგრესი. ვინ იწვევს მერე ამ პროგრესს? რასაკვირველია არა ბეცნი და ეგოისტნი.

— როგორც ჩანს, შენ გწადია ქვეყნიერების გარდაქმნა. ადვილი საქმეა! წინდაწინვე გეუბნები — შენზე წინეთაც იყვენ ამ ნაირი მოაზრენი, მერე რა დარჩა იმათგან?

— მისწრაფება გავაგრძოთ მათი დაწყებული საქმე. მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ბუნებაში არაფერი არ იკარგება: არც კეთილშობილური განზრახვანი და თითქმის არც ის ღრუბელი, რომელიც აი იქ ამოცურდა.

— იქნება არ იკარგება ისიც, რაც ახლა შენ თქვი?

— თითქმის ისიც. რომ იდეალისტები არა — ქვეყნიერება მალე დაიფშენებოდა მტვერივით. ამიტომ, ვინც გრძნობს მისწრაფებას რაიმე მიზნისაკენ, მოჰკიდოს ხელი პრაქტიკულ საქმეს და უეჭველათ გაიმარჯვებს.

— და შენ ყოველთვის და ყოველგან იქნები გამომაქვეყნებელი მზგავსი პრინციპებისა?

— ყოველგან და ყოველთვის.

— დაილუბები, ჩემო კარგო, — ჩურჩულებს დაბალი ხმით მოხუცი, ტუჩებს წაუშვებს და სახეზე მწუხარება ეხატება.

— დაილუბები. — იმეორებს უფრო დაბლა მოხუცი.

ქაბუკი, წარბებ შექმუხნილი, ღრმა ფიქრებით გატაცებული, დაცქერის დედა-მიწას. ამის შემხედვარე მოხუცს გულში იმედის ნაპერწკალი ეპარება. ბაგეები უნებლიეთ უჩურჩულებენ:

— გესმის რა, მარტო თეორია ცოტაა, პრაქტიკაზედაც უნდა იფიქრო. პრაქტიკა კი გვასწავლის ჩვენ, რომ მხოლოდ ის თეორია, რომელიც ეთანხმება არსებულ პირობებს და გარემოებებს, გამოსადეგია საქმეში. რატომ უნდა იშრომო უნაყოფოთ? რამდენი იყო შენზე წინ შენი თანამოაზრენი, — მხოლოდ ცხოვრება ჩაიმწარეს. დიდი ხანია იმათი ძვლები დამიწდა და სახელი კი დარჩენილა მარტო მახლობელ მეგობრების ხსოვნაში...

— ვითომ რა გინდა ამითი თქვა? მერე იმათი ბედის-წერა უფრო არ ახვიადებს ჩვენში შურს? ოჰ არა, ბაბუაჯან — ისინი იყვენ ბედნიერები, რადგან მხოლოდ დიდებული გული იცნობს ნამდვილ ბედნიერებას...

— აღმითქვი მე მაინც, გააწყვეტია მოხუცმა, — აღმითქვი, რომ შენ არ მიბაძავ იმ სულელების მაგალითს! ქაბუკმა ჩაქინდრა ამპარტავანი თავი და ნაღვლიანი, მაგრამ მტკიცე ხმით უპასუხა:

— არ შემიძლია.

მოხუცმა ზურგი მიაქცია იუზიკს, მოიკუნტა სავარძელში და სდუმდა. ბალს ეფინება ჩრდილი და უკარგავს ელფერს ზაფხულის მწვანე ილეულობას. ყველაფერი ირგვლივ იმედ-დაკარგულის სახეს იღებს.

ქმუნვა-სიჩუმე ჩამოვარდა...

მაგრამ უცბათ ვარდება ციდან სვეტი სინათლისა და ოქროს ფრათ ღებავს ბალს, შთანთქმულს მყუდროებისაგან.

ჰქრება წყვდიადი, ქმუნვა, წუხილი...

მოხუცი კანკალით უწვდის ხელს შვილი-შვილს და იკრავს გულში. მოხუცის ტირილ-ჩურჩულში ისმის:

— ჩემო საყვარელო... საყვარელო, საყვარელო...

ქაბუკის ხუჭუტა თმაში ლაპა-ლუპი გააქვს ცრემლებს.



საქველ-მოქმედო საქმი

I.

ქ-ნო რედაქტორო უღრმეს მადლობას ვუცხადებთ გაზ. „კვალის“ საშუალებით ქ. ელისო ბარბაქაძის ასულს, რომელმაც გადმოგვცა ჩვენდამი რწმუნებულ სამკითხველოს სასარგებლოთ 6 მ. 20 კ. მოგროვილი ს. საქარაში.

ყვირილის წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგ. წევრნი: ივანე არღვილი, ილია მაღლაკელიძე.

II.

ქ-ნო რედაქტორო გთხოვთ, თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალის“ უმახლობელეს №-ში ალაგი მისცეთ ამ წევრილს. მე ჩემ ნაცნობთა შორის ქ. ბათუმში, მოვავროვე ს. მარტილის (სენაკის მარბა) უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლო ფულათ 42 მ. 40 კ და სხვა-და-სხვა წიგნები 143 ც. რაც უკვე გადავეცი სხენებულ სამკითხველოს გამგეს ქ-ნ ლ. გ. გაწერელისას, — უგულითადეს მადლობას ვწირავ იმ პატივცემულ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ისეთი სიმპატიური საქმისათვის, როგორც არის ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ტიმოთე პეტრესძე გვგვპკორი.

III.

ქ-ნო რედაქტორო უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი გაზეთი „კვალის“ საშუალებით მადლობა გამოუტყხადოთ ჩემგან და აგრეთვე მამათის საეკლესიო სკოლის მოსწავლეებისგან იმ პირთ, რომელთაც მამათის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემწეობა აღმოუჩინეს. სია შემომწირველთა: მამათის საეკლესიო სკოლის მზრუნველი ექვთიმე ივანეს ძე ხელაძემ გამოუწერა როგორც წარსულ წლებში, აგრეთვე ამა 1900 წელშიც „ჯეჯილი“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მწყემსი“ და 50 ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნები სულ 30 მანეთისა. პროკოპი იოსების ძე მედივამ აკაკის „კრებულის“ 1897 წლის ყველა ნომრები. ივანე ალექსის ძე ქილიფთარბა „Описание Шюмгвимской пустыни въ грузии и другихъ монастырей“ პლატონ იოსელიანისა 1845 წ. განსაკუთრებით მადლობის ღირსია ექვთიმე ხელაძე, რომელიც ყოველ წლიურათ სამ-სამ თუმნის შემწეობას აძლევს მამათის უფასო სამკითხველოს, რითიც სულდგმულობს ეს ბიბლიოთეკა. ერთიც რომ აღმოჩენიდა ვინმე ამისთანა თანამგრძნობი მამათის სამკითხველოს ბედ-იღბალი წაღმა მოტრიალდებოდა; სამწუხაროთ ამ პატარა სოფ. მამათის შვილნი საკმაოთ არიან საქართველოს სხვა-და-სხვა ქალაქებში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყურსაც არ იბერტყავენ თავის სოფლის სამკითხველოს შემწეობისთვის.

გამგე მამათის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოისა მღვდელი კალისტრატე ხელაძე.

IV.

ქ-ნო რედაქტორო გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ მადლობა გამოუტყხადო ქ. ქ. პ. მაყაშილისას, მ. ქავთარაძეს, ო. ლორთქიფანიძეს და ყველა იმ პირთ, რომელნიც ასე თუ ისე დამეხმარენ ხონში ჩემ სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენის დროს.

ოღესსა, 31 აგვისტო.

სტუდენტი ვ. შვილია.

სკოლა და კანსიონი

ა. ა. მამულაიძეილისა

ამხადებს ეძაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამხადებელ და ჰირველ კლასებისათვის.

ადრესი: ოფდს ქუჩა (Ольгинская), სახლი დრობიშევისა № 13, ზემეფის აფეთქის მახლობლათ.

(4-2)

ქ ა ლ ე ზ ი ს  
პ რ ო გ ი მ ნ ა უ შ ი ა  
ელენე ბახტაძისა

დ. ხონში.

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უძცროს და უფროს მოსამხადებელ ჰირველ ჰროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს განსნილ მეორე ჰროგიმნაზიულ კლასებში დაიწება 20 აგვისტოდან და გავრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ ჰროგიმნაზიის უფროსის — ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური, როგორც მოსამხადებელ — ისე ჰროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთისა წელიწადში

(3-3)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების  
სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით, და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა იმყოფება ლერმონტოვის და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიურებიან, იმ კუთხეში. სახლი საგარდა — ზოსერბსკისა № 12.

(3-3)

რედაქტორ-გამომც. ან. თ. წერეთლისა.